საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომის ოქმის ამონაწერი

2017 წელი, 11 სექტემბერი
ბიურო N88

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2017 წლის 11 სექტემბრის სხდომაზე საქართველოს პარლამენტის წევრმა გურამ მაჭარაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ დაკავშირებული საკითხის შესასწავლად პარლამენტში შექმნილი მომხსენებელთა ჯგუფის მიერ მომზადებული საანგარიშო დასკვნა და რეკომენდაციები.

გ. მაჭარაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის 5 ივნისს შეიქმნა მომხსენებელთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს „საფინანსო კომპანია საქართველოსთან“ დაკავშირებულ საკითხზე ინფორმაციების მოპოვება და სათანადო დასკვნის მომზადება.

ჯგუფის მიერ ინტენსიური მუშაობის შედეგად წარმოდგენილი დასკვნა სარეკომენდაციო ხასიათისაა. მის სარეზოლუციო ნაწილში ასახულია ის რეკომენდაციები, რომლებიც ჯგუფმა აუცილებლად მიიჩნია.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მომხსენებელთა ჯგუფს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ საბოლოოდ მოიძებნება ოპტიმალური გამოსავალი პრობლემის მოსაგვარებლად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — ირაკლი კობახიძე